ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5905562

ნომერი: AR1893841

თარიღი : 18.04.2022

გაცემის თარიღი : 19.04.2022

გაცნობის თარიღი : 19.04.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექა ბაბალაშვილი პ/ნ 01010018167
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მკრ. II კვ. კორპ. V, ბ. VII

ორგანიზაცია:
- მარილი 2020 კოდი: 404595274

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს მარილი 2020
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404595274
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბექა ბაბალაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010018167

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3493.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 11104.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 317947.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 285547.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 32400.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 34.95
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 31.35
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.6

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 18 აპრილის AR1893841განცხადება, რომელიც ეხება ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ.N12-ში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის საკითხს

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი საპროექტო სამუშაოები მოიაზრებს არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მხოლოდ ნაწილობრივ დემონტაჟს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შენობის ნაწილობრივ დემონტაჟი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შესაბამისად, იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს სრულყოფილად მსჯელობა სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით საჭიროა საპროექტო დოკუემნტაციაში სრულყოფილად გაიწეროს არსებული შენობების მთლიანი დემონტაჟი, დამუშავდეს შესაბამისი დემონტაჟის ორგანიზების პროექტი საპროექტო სამუშაოების დეტალური კალენდარული გრაფიკით, შესაბამისად დაკორექტირდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და წარმოდგენილ იქნას განსახილველად. ასევე შესაძლებელია საკითხი სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით დააყენოთ პროექტის შეთანხმების/მშენებლობის ნებართვის სტადიაზე და საპროექტო დოკუმენტაციაში იქნას გათვალისწინებული სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო დემონტაჟის ორგანიზების პროექტი და ერთობლივად განხორციელდეს მსჯელობა, როგორც სადემონტაჟო სამუშაოებზე ასევე ახალ მშნებლობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ არის მისაღები მოთხოვნის ტექსტში მითითებული განმარტება და N5697647 გადაწყვეტილების მესამე პუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტაციას უნდა იქნას წარმოდგენილი სრულყოფილად.
ამასთანავე გაცნობებთ სხვა არსებულ ხარვეზებცას :

2. წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრში ვალდებულების საფუძლად რეგისტრირებული სს „სილქნეტთან“ დადებული ხელშეკრულება სრულად და საჭიროების შემთხვევაში სს „სილქნეტის“ უპირობო თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით;
3. საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა. -> .კონსტრუქციული დასკვნის pdf ფაილი.: - მომიჯნავე შენობა-ნაგებობზე ზეგავლენის დასკვნით დაზუსტდეს, განისაზღვროს და შემდგომ წარმოდგენილ იქნას გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების სქემატური ნახაზები პროექტის სახით, ღონისძიებები ასახულ იქნას კალენდარულ გრაფიკში;
4. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2022 წლის 22 მარტის MIA 9 22 00742629 წერილს თან არ ახლავს დანართი 1 -ის ფაილი. გთხოვთ თან დაურთოთ დოკუმენტაციას აღნიშნული;
5. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.: -

საპროექტო დოკეუმნტაციაში წარმოდგენილი საექსპერტო შეფასება ეხება მოცემულ მისამართზე 10 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებულ ს/გეოლოგიურ კვლევას და არა დემნტაჟთან დაკავშირებულ ს/გეოლოგიურ დასკვნებს. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული დოკუმენტაცია დემნტაჟთან დაკავშირებული ს/გეოლოგიური დასკვნების აღწერით. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საექსპერტო შეფასების დასკვნით ნაწილში ნახსენებია - „ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. #12-ში, სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მიცკევიჩის ქ. #58-ში სამედიცინო კლინიკის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედანზე (ს/კ 01.10.14.016.010) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები...“ - რაც გაუგებარია. ამიტომ ჯეროვანი დასკვნების გამოტანის მიზნით, წარმოდგენილ უნდა იქნას ასევე სამშენებლო მოედნის ს/გეოლოგიური კვლევაც.
6. ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.: - წარმოსადგენია განახლებული კონსტრუქციული კვლევა ტექნიკურ მდგომარეობასა და სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით კვლევაში შენობის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, უნდა განისაზღვროს დაზიანების ხარისხი დაზიანებათა ზოგადი ხარისხობრივი კლასიფიკაცის მიხედვით და უნდა მიენიჭის დაზიანების კატეგორია, შემდეგ განისაზღვროს რეკომენდაციები სადემონტაჟო სამუშაოებისთვის;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თვენი მოთხოვნა.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.